ოზურგეთში ანსამბლ „შვიდკაცას“ ვარსკლავი გაიხსნა

ალიონი. ანსამბლი **„შვიდკაცა“** 1957 წელს შეიქმნა, რომლის ხელმძღვანელი გარდაცვალებამდე საქვეყნოდ აღიარებული ლოტბარი და მომღერალი, საქართველოს სახალხო არტისტი **მიხეილ შავიშვილი** იყო.

ბოლო 20 წელია, მას ასევე ცნობილი მომღერალი **ტრისტან სიხარულიძე** ხელმძღვანელობს. ანსამბლის რეპერტუარში 100-ზე მეტი ქართული, აქედან 50-ზე მეტი გურული სიმღერაა.

7 მაისს ოზურგეთის ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრში, ანსამბლ „შვიდკაცას" საიუბილეო საღამო და ვარსკვლავის გახსნის ცერემონიალი გაიმართა. იუბილარებს მიესალმნენ: საქართველოს ფოლკლორის ცენტრის დირექტორი **გიორგი დონაძე,** გურიის გუბერნატორი **ზურაბ ნასარაია,** საკრებულოს თავ-მჯდომარე **დავით დარჩია,** მუ-ნიციპალიტეტის მერი **კონსტანტინე შარაშენიძე,** ანსამბლ „რუსთავის“ ხელმძღვანელი **ანზორ ერქომაიშვილი,** ანსამბლ „ერისიონის“ დამფუძნებელი **ვალალ ჭკუასელი.** ცნობილმა ბიზნესმენმა და მეცენატმა **ვანო ჩხარტიშვილმა** განაცხადა, რომ მისი ფონდი ანსამბლ „შვიდკაცას“ საზღვარგარეთულ ფესტივალში მონაწილეობას დააფინანსებს.

ანსამბლის თითოეული წევრი მადლობის სიგელით დაჯილდოვდა.

ტრისტან სიხარულიძეს, რომელსაც უმაღლესი რანგის ჯილდოები უკვე მიღებული აქვს, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიისა და საკრებულოს გადაწყვეტილებით, საპატიო ოზურგეთელის წოდება მიენიჭა. აღსანიშნავია, რომ პრეზიდენტის სახელმწიფო ჯილდოს - ღირსების მედლის მისაღებად წარდგენილები არიან: **ლევან გოლიაძე, გელა ლომჯარია** და **ალექსანდრე ბურჭულაძე,** ხოლო ღირსების ორდენის მისაღებად **ილია ინწკირველი** და **ლევან ნინიძე.** კულტურის სამინისტროში ხელოვნების ქურუმის წოდების მისანიჭებლად წარდგენილია ლოტბარი **ამირან გოლიაძე.**

საკონცერტო პროგრამის გვირგვინი იყო „შვიდკაცასა“ და მოწვეული ანსამბლების მიერ შესრულებული „ხასანბეგურა“. შემდეგ კი ოზურგეთის სახელმწიფო თეატრის ბაღში ანსამბლ „შვიდკაცას“ ვარსკვლავი გაიხსნა.

ალიონი

უძველესი გაზეთი უახლესი ინფორმაციებით!

გაზეთი გამოდის 1931 წლის 5 იანვრიდან

საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი.

ყოველკვირეული გამოშვება. № 19 (10312) 13 მაისი, 2019 წ. ფასი 60 თეთრი.

ქართული ჩაის ფესტივალი ოზურგეთში

ალიონი. ოზურგეთში ქართული ჩაის ფესტივალი გა-იმართა. ფესტივალი მუნიციპალური პროექტის „ჩაის გზა“ ფარგლებში ჩატარდა, რომელიც ითვალისწინებს ქართული ჩაის პოპულარიზაციას, როგორც სამრეწველო, ასევე ტურისტული მიმართულებით. ჩაის მწარმოებლები იყვნენ გურიის რეგიონიდან, სამეგრელოდან(წალენჯიხა), იმერეთიდან (წყალტუბო, თერჯოლა, ტყიბული, ჭიათურა)..

ფესტივალის სტუმრებს საშუალება ჰქონდათ დაეგემოვნებინათ 20-მდე ქართული ჩაის მწარმოებელი საოჯახო მეურნეობების და საწარმოების პროდუქცია. ასევე წარმოდგენილი იყო ადგილობრივი თაფლის, მშრალი ხილის, ღვინის, თევზის და ყურძნის ნაწარმი.

„საქართველოს ორგანული ჩაის მწარმოებელთა ასოციაციის“ ორგანიზებით ჩატარდა ჩაის ოსტატთა საქართველოს ეროვნული ჩემპიონატი და კონფერენცია თემაზე –„ქართული ჩაის სამრეწველო და ტურისტული შესაძლებლობები“.

ღონისძიებას ესწრებოდნენ საქართველოში გაეროს მუდმივი კოორდინატორი და გაეროს განვითარების პროგრამის მუდმივი წარმომადგენელი **ლუიზა ვინტონი,** ჩეხეთის დელეგაცია, ცენტრალური და ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები და სხვა მოწვეული სტუმრები.

სტუმრებს ჰქონდათ შესაძლებლობა დაეთვალიერებინათ -ეთნოგრაფიული კუთხე და დაეგემოვნებინათ ადგილობრივი ტრადიციული კერძები.

ახალშექმნილ მოძრაობას დიდი ბრძოლა მოუწევს ძალიან დიდ მაფიოზურ დაჯგუფებასთან

ალიონი. 8 მაისს, ოზურგეთის ახალგაზრდა იურისტთა ოფისში სამოქალაქო მოძრაობა „გადავარჩინოთ გურიის მდინარეები“ პირველი სამუშაო შეხვედრა გაიმართა. შეხვედრის ინიციატორი, სოფელ ლიხაურის პედაგოგი **ირმა გორდელაძე** იყო.

– გურიის ყველა მდინარეზე დარღვევებით ხდება ქვიშა-ხრეშის მოპოვება. ათეულობით ლიცენზიაა გაცემული მდინარე სუფსის, ნატანების, ბჟუჟის, აჭისწყლის, ბახვისწყლის აუზებში. ჩვენ დავინახეთ რა შეუძლია ადამიანთა გაერთიანებას – 100-მდე აქტივისტმა მდინარე აჭისწყლის ხეობა აოხრებისგან დაიცვა.

სულ საომარ მდგომარეობაში, სულ ჭალაში ხომ არ ვიქნებით, ქვიშა-ღორღის უსისტემოდ მოპოვებამ ის მოიტანა, რომ ადიდებულ მდინარეებს მიაქვს სავარგულები, ხმება ხეები, ჭებში დაშრა წყალი, პრობლემა შეექმნა ოზურგეთის წყალსადენს, – აღნიშნა თავის გამოსვლაში ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის ოზუ-რგეთის ოფისის ხელმძღვა-ნელმა თამაზ ტრაპაიძემ.

ლევან მგელაძე, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დეპუტატი: – „შექმნეს „მაფიოზური კოალიცია,“ ერთმანეთს ხელს უწყობდნენ და წილებს ინაწილებდნენ. ამან გამოიწვია ის, რომ 8 გარემოს დაცვის ინსპექტორი სისხლის სამართალშია მიცემული.“

თამაზ ტრაპაიძე: –„მე აქედან ამოვიღებ ინერტულ მასალას, მაგრამ შენ ლიცენზია მაქ გაქვს და მაქედან გაეციო. ანუ რეალურად ქვიშა-ხრეში იღება სხვაგან, არალიცენზირებულ ადგილზე და ლიცენზირებილ ადგილზე, სადაც უკვე რეალურად აღარაა დარჩენილი ქვა-ღორღი, იქედან გადიოდა საბუთი.“

ლევან მგელაძე: – „დროთა განმავლობაში მთების, ყანების ხარჯზე ნატანით ივსება ეს ადგილები მერე თავიდან აგრძელებენ მუშაობას. ღამის საათებში მუშაობენ. ადრე მდინარეში ვერ შედიოდნენ. ახლა იმასაც მიადგნენ,– ნატანი გაგვაქო, ამბობენ და მდინარეში დგას ტრაქტორი და იღებს. მდინარეში ჩასვლა წარმოუდგენელია. მოპოვება 15-20 მეტრის დაშორებით უნდა ხდებოდეს. მოკლედ, უკონტროლო სიტუაციაა.

შერჩევის გარეშე ერთი ლიცენზია ავიღე. ეწერა -5-წლიანი მოპოვების უფლება, რამდენიმე ათასი კუბის. დავიანგარიშე, ვთქვათ, წელიწადში ვამუშავე 200 დღე. თითო დღეში გამოუვიდა დაახლოებით 30 კუბის გატანა. ეს არის დაახლოებით მანქანა ნახევარი. არად,ა, მინიმუმ 50 მანქანა გადიოდა ერთი კარიერიდან...

რაც შეეხება მუნიციპალიტეტის გაცემულ თანხმობებს. თანხმობა არის შირმა, რომ სამინისტრომ აირიდოს პასუხისმგებლობა. თანხმობის გარეშეც შეუძლიათ შესვლა და მუშაობა. ზოგი გაცემულია გამგებლისგან, ზოგი გამგებლის მოადგილისგან, ზოგი მოვალეობის შემსრულებლისგან, მაგრამ გაცემული აქვს ყველას. სულ რამდენიმე შემთხვევაა, როცა არ გასცეს ნებართვა. ძირითადი დაწოლა იყო სოფელ მერიაზე და წითელმთაზე.

რაც შეეხება ირმას ინი-

გვ-3

გაზეთი „ალიონი“ სარეკლამო მომსახურების ტარიფები

– მე-2 მთლიანი გვერდის (648 კვ.სმ) ღირებულება 120 ლარია;

– მე-3-7 (თითოეული 810 კვ. სმ) მთლიანი გვერდებისა – 150-150 ლარი;

– 1-ლი, ფერადი გვერდი მთლიანად (810 კვ. სმ) არ იყიდება, ნახევარი გვერდის (405 კვ. მ) ღირებულება 300 ლარია;

– ბოლო, მე-8, ფერადი გვერდი მთლიანად 300 ლარი ღირს;

– შიდა შავთეთრ გვერდებზე ფერადი ბეჭდვის შემთხვევაში გვერდის საფასური 50 ლარით იზრდება.

– პოლიტიკური რეკლამის ღირებულება ორმაგია;

– მილოცვა ფერად გვერდზე 32,40 კვ. მ-ზე, სურათით - 25 ლარი;

– სამგლოვიარო განცხადება - სიტყვა 25 თეთრი, პლუს სურათი (5X6 სმ) - 2 ლარი;

– გახსენება, ნეკროლოგი – სიტყვა 20 თეთრი, პლუს სურათი (5X6 სმ) - 2 ლარი;

საცალო ფასი: 60 თეთრი,
ხელმოწერა:
ერთი თვით – 2,40 ლარი,
სამი თვით – 7,20 ლარი,
6 თვით –14,40 ლარი,
ერთი წლით – 29,60 ლარი.

გაზეთში გამოქვეყნებული მასალების შინაარსი შეიძლება არ ემთხვეოდეს რედაქციის თვალსაზრისს.

ავტორები თვითონ არიან პასუხისმგებელი ინფორმაციის სიზუსტეზე.

რედაქციაში აუდიოჩანაწერები ინახება ორი კვირის განმავლობაში, ამ ვადის გასვლის შემდეგ პრეტენზიები აღარ მიიღება.

რედაქცია ავტორებისაგან არ მიიღებს სამ ხელნაწერ გვერდზე მეტ მასალას.

გამოქვეყნებული მასალების გადაბეჭდვა აკრძალულია რედაქციიდან ნებართვის გაცემის გარეშე.

სარედაქციო კოლეგია

რედაქტორი
ნუგზარ ასათიანი
nugzarasatiani@rambler.ru
558 499100

საინფორმაციო სამსახურის ხელმძღვანელი:
თემურ მარშანიშვილი
tem52@mail.ru
599 373515

კომპიუტერული უზრუნველყოფა
გიორგი გოგოლაძე
gia_77@mail.ru
551 576060

რედაქციის მისამართი: ქ. ოზურგეთი, გაბრიელ ეპისკოპოსის ქ.№3
ტელ: 558 499 100 გაზეთი რეგისტრირებულია ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში 18. 11. 2004 №44/4-311
გაზეთი იბეჭდება გამომცემლობა „მერიდიანში“
მის: თბილისი, ვ. ბაგრატიონის ქ. №77

დაინყეთ ყოველი ოხშაბათი ალიონზე

«ალიონით»

ოზურგეთის მუნიციპალიტეტი ბათუმის ტურიზმის მე-12 საერთაშორისო გამოფენაზე ადგილობრივი წარმოების პროდუქტებით წარსდგა

2019 წლის 10-დან 12 მაისს ჩათვლით, ბათუმში, სასტუმრო „შერატონში“ ტურიზმის მე-12-საერთაშორისო გამოფენა გაიმართა.

გამოფენა აჭარის მთავრობის თავჯდომარემ, **თორნიკე რიჟვაძემ** გახსნა და აღნიშნა, რომ მსგავსი ღონისძიებები ხელს უწყობს ტურიზმის განვითარებას და ეხმარება ადგილობრივ კომპანიებს საერთაშორისო საზოგადოებას წარუდგინონ მათი სერვისი და პროდუქცია.

გამოფენაში ადგილობრივი და უცხოური კომპანიები მონაწილეობენ, როგორც ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპიდან, ისე აზიიდან და მეზობელი ქვეყნებიდან.

გამოფენის მიზანია ახალი ტურისტული პროდუქტებისა და პროექტების პრეზენტაცია-პოპულარიზაცია, საქართველოს რეგიონების ტურისტული პოტენციალის წარმოჩენა.

მე-12 ტურისტულ გამოფენაზე ოზურგეთის მუნიციპალიტეტი ღირსეულად წარსდგა. შედგა მუნიციპალიტეტის ახალი ტურისტული პროექტის „ჩაის გზა“ და ევროკავშირის მიერ დაფინანსებული რეგიონალური პროექტის „რა ყოფილა გურია“-ს ფარგლებში გადაღებული, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ტურისტული ადგილების ამსახველი ვიდეომასალის პრეზენტაცია, ასევე წარმოგენილი იყო ადგილობრივი წარმოების პროდუქცია.

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სტენდმა დამთვალიერებლის დიდი ინტერესია გამოიწვია. სხვადასხვა, ადგილობრივმა და უცხოურმა ტურისტულმა კომპანიამ გამოთქვა მზადყოფნა, რომ წელს ტურისტულ პაკეტებში ოზურგეთის ტურისტულად საინტერესო ადგილებიც დაიკავებს მნიშვნელოვან ადგილს.

აჭარის ტურისტული კომპანიები უკვე იცნობენ პროექტ „ჩაის გზა“-ს მონაწილეებს და იმედი გამოთქვეს, რომ შედგება აქტიური თანამშრომლობა მათთან და ოზურგეთის მუნიციპალიტეტს გაიცნობს უფრო მეტი უცხოელი ტურისტი. დაიგეგმა შიდა ტურები.

გამოფენა ჩატარდა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის, აჭარის ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტის მხარდაჭერით.

„თანამშრომლობა ღია მმართველობისთვის“

7 მაისს, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომათა დარბაზში, „თანამშრომლობა ღია მმართველობისთვის“ ხელმოწერილი მემორანდუმის ფარგლებში, მორიგი სამუშაო შეხვედრა გაიმართა.

„ღია მმართველობის პარტნიორობის 2018-2019 წლების სამოქმედო გეგმის" (**OGP**) ფარგლებში შექმნილმა სამუშაო ჯგუფმა, ამ გეგმით ნაკისრი ვალდებულებების შესასრულებლად კონკრეტულ ღონისძიებებზე იმსჯელეს.

შეხვედრას დაესწრნენ სახელმწიფო რწმუნებული გურიაში **ზურაბ ნასარაია,** საკრებულოს თავმჯდომარე **დავით დარჩია,** საკრებულოს, მერიის და ჩართული არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები.

საკრებულომ და მერიამ, გამჭვირვალობის, კეთილსინდისიერების ამაღლების სტრატეგიასთან დაკავშირებით, შესაბამისი სამოქმედო გეგმისა და მონიტორინგის ჩარჩოს შემუშავების პროცესის მიმდინარეობა წარმოადგინეს. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის, სამოქმედო გეგმით გაწერილი, კიდევ ერთი ვალდებულება მომსახურების მიწოდების შესახებ კმაყოფილების ხარისხის განსაღვრაა, რომლის განხორციელების პროცესში ახალაზრდების ჩართულობა და მათი ტრენინგ-სემინარები დაიგეგმა.

თვითმმართველობის მნიშვნელობის პოპულარიზაციასა და გადაწყვეტილებების მიღების პროცესში, ახალგაზრდების ჩართულობის წახალისება, კიდევ ერთი ვალდებულებაა ოზურგეთის მუნიციპალიტეტისთვის და ეს საკრებულოს ინიციატივის „თვითმმართველობა განათლებისათვის“ ფარგლებში განხორციელდება. სამუშაო ჯგუფმა ცნობიერების ამაღლების კონკრეტულ ღონისძიებებზე იმსჯელა.

„ღია მმართველობა საქართველოს 2018-2019 წლების სამოქმედო გეგმის" ფარგლებში, მხარეები საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში, ხელს შეუწყობენ, ეფექტიანი მმართველობისა და მოქალაქეთა ჩართულობის ინოვაციური მეთოდების დანერგვას **OGP**-ის ფარგლებში ურთიერთპრაქტიკის გაზიარებას, სხვადასხვა სახის პროექტების ერთობლივად განხორციელებას, თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენების შესაძლებლობის შესახებ მოსახლეობის ინფორმირებულობასა და გამჭვირვალე და კეთილსინდისიერი მმართველობის განმტკიცებას.

„თანამშრომლობა ღია მმართველობისთვის“ ხელმოწერილი მემორანდუმის ფარგლებში, შექმნილი სამუშაო ჯგუფი ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს, მერიას, გურიის ახალგაზრდულ რესურსცენტრს, ოზურგეთის პროგრესის სახლს, საქართველოს დემოკრატიული განვითარების კავშირს და საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკას აერთიანებს.

გიორგობა დღეს გილოცავთ!

აქ დგება მოვლილი მზე ვანად,
სულ სხვა გაქვს სიმღერის
კილო ცავ
და წმინდა გიორგის ქვეყანავ,
გიორგობა დღეს გილოცავ!

შენს მიწას კვლავ გზნებით
გავძახი,
ტაოსაც და საინგილოსაც,
აფხაზეთს, კვლავ ჟრჟოლვა-
ცახცახით,
გიორგობა დღეს გილოცავთ!

ღიმილი მზედ გადმოგეღვარა,
უფალი შუბლს ნათლით
გიმოსავს,
და წმინდა გიორგის ქვეყანავ,
გიორგობა დღეს გილოცავ!

ჯემალ დობორჯგინიძე

ტყეების გამწვანების კამპანიას რწმუნებულის ადმინისტრაციაც შეუერთდა

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი აგრძელებს საქართველოს სხვადასხვა ტერიტორიაზე განადგურებული ტყეების მწვანე საფარის აღდგენის კამპანიას, რომელსაც გურიაში სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაციაც შეუერთდა. ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფიტოპათოლოგიისა და ბიომრავალფეროვნების ინსტიტუტის მეცნიერ თანამშრომლებმა, სახელმწიფო რწმუნებულმა გურიის მხარეში ზურაბ ნასარაიამ, მოადგილესა და ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებთან ერთად, ოზურგეთის მუნიციპალიტეტში მდინარე ბუჟის მიმდებარე სანაპიროს ქუჩის ტერიტორიაზე ლაფანის, ვერხვის, კრიპტომერიის, ზღვისპირა ფიჭვისა და კიპარისის ხეები დარგეს.

უშუქო დასახლებებში მზის პანელები დამონტაჟდება

მთავრობამ უშუქო დასახლებებში მზის პანელების დასამონტაჟებლად 2 მილიონი ლარი გამოყო, - როგორც საქართველოს პრემიერ-მინისტრმა **მამუკა ბახტაძემ** მთავრობის სხდომის დაწყებამდე გამართულ ბრიფინგზე განაცხადა, შესაბამისი პროექტი უკვე მომზადებულია.

მთავრობის მეთაურის ინფორმაციით, ძირითადად საუბარია ისეთ დასახლებებზე, რომელსაც უნიკალური ტურისტული პოტენციალი აქვს და იქიდან გამომდინარე, რომ მოსახლეობას ელექტროენერგიაზე წვდომა არ აქვს, მათი განვითარება ფერხდება.

პრემიერ-მინისტრმა პროგრამის განხორციელებისთვის გაწეული მნიშვნელოვანი მხარდაჭერისთვის **USAID**-ს განსაკუთრებული მადლობა გადაუხადა.

ევროპის ჩემპიონატი კაიაკინგში

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფელ შემოქმედში, ბუჟის ხეობაში, სპორტის ექსტრემალური სახეობის, კაიაკინგის ჩემპიონატი **Bzhuzha Race** გაიმართა. ჩემპიონატში ცხრა ქვეყნის 60-მდე სპორტსმენი მონაწილეობდა.კაიაკინგის ევროპის ჩემპიონატს ოზურგეთი უკვე მეოთხედ მასპინძლობდა. წელს შეჯიბრში ქართველი სპორტსმენებიც მონაწილეობდნენ.

ფინალური დაშვება 10 მაისს გაიმართა, რის შემდეგაც გამარჯვებულების დაჯილდოვება მოხდა.

ჩემპიონატი საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის მხარდაჭერით, გურიის სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაციისა და ოზურგეთის მერიის ორგანიზებით გაიმართა.

ოზურგეთში ფაშიზმზე გამარჯვების 74-ე წლისთავი აღინიშნა

ალიონი. მეორე მსოფლიო ომში გამარჯვების დღე – 9 მაისი ოზურგეთშიც აღინიშნა. მართალია წინა წელთან შედარებით მოკრძალებულად, მაგრამ ეს ცოცხლად დარჩენილ ვეტერანთა სიმცირემაც განაპირობა. ისინი ასაკისა და ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო ზეიმზე ვერ მოვიდნენ.

მეორე მსოფლიო ომში ოზურგეთიდან 11 653 კაცი გაიწვიეს,საიდანაც 6 300-ზე მეტი დაიღუპა.

ქ. ოზურგეთში, გმირთა მოედანზე მეორე მსოფლიო ომში დაღუპულ გმირთა მემორიალი გურიის გუბერნატორმა **ზურაბ ნასარაიამ,** ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერმა კონსტანტინე **შარაშენიძემ,** საკრებულოს თავმჯდომარე **დავით დარჩიამ** ყვავილებით შეამკეს.

შემდეგ ხელისუფლების წარმომადგენლები უშუალოდ ომის მონაწილეებს **ანასტასია მჟავიას, შოთა მანჯავიძეს, შოთა გოგატაძეს, დიმიტრი სარიშვილს** ოჯახებში ეწვივნენ, გამარჯვების დღე მიულოცეს, 500-500 ლარი და ფასიანი საჩუქრები გადასცეს.

არლო კვაჭანტირაძე

რაც შეეხება კიდევ ერთ ომის მონაწილეს, ცნობილ პედაგოგს **სიმინ ბებურიშვილს** (მისი საბუთები დაიკარგა და ვერ აღადგინეს) მეცნიერებისა და განათლების დამოუკიდებელი პროფკავშირების ოზურგეთის ორგანიზაცია ეწვია და ფულადი ჯილდო და ფასიანი საჩუქარი გადასცა.

* * *

9 მაისს, სამამულო ომის გმირების მემორიალთან სამამულო ომის გმირის, **ვასილ კვაჭანტირაძის** შვილი **არლო კვაჭანტირაძე** იმყოფებოდა. ვთხოვეთ მამის შესახებ მოგონება:

– მამა, ვასილ კვაჭანტირაძე ბალტიის პირველი ფრონტის 43-ე არმიის, 179-ე მსროლელი დივიზიის სნაიპერი იყო. ოფიციალურად 584 გერმანელი ჰყავდა მოკლული, მაგრამ მის ანგარიშზე გაცილებით მეტი იყო, (როგორც ვიცი 900-მდე) ვიდრე მეორე მსოფლიო ომის ცნობილ სნაიპერებს ვასილ ზაიცევს, ივან კულბერტინოვს, ივან სიდორენკოს, მაგრამ რუსი ისტორიკოსები პირველ ადგილზე მაინც რუსს ასახელებენ...

მამას 1945 წლის მარტში მეორე მსოფლიო ომის გმირის წოდება მიენიჭა. იგი ომიდან 1946 წელს დაბრუნდა. გურიანთის კოლმეურნეობის თავმჯდომარედ დანიშნეს. 5 წელიც ვერ იცოცხლა, ომში მიღებული ჭრილობებიდან 1950 წლის 9 თებერვალს გარდაიცვალა.

ჩვენი, როგორც გმირის ოჯახის ამბავი, ხელისუფლებას საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ არ უკითხავს. მუზეუმის წინ იყო სამამულო ომის გმირების კონსტანტინე ლესელიძის, პორფირე ჩანჩიბაძის, მამაჩემის და სხვა გმირების ბიუსტები. გასული საუკუნის 90-იან წლებში ბრინჯაოში და სპილენძში ჩამოსხმული ბიუსტების ნაწილი მოიპარეს, დარჩენილები მოხსნეს და მუზეუმში შეინახეს...

ჩემთვის ყველაფერს ნიშნავს რომ გმირის შვილი ვარ, მეამაყება ვასილ კვაჭანტირაძის შვილობა –უთხრა გაზეთ „ალიონს“ არლო კვაჭანტირაძემ.

* * *

ოფიციალური ცერემონიალის დასრულების შემდეგ 95 წლის **ანასტასია ლინინა-მჟავიას** სახლში ვესტუმრეთ. იგი ქ. ოზურგეთში, სერისუბანში შვილთან ერთად ცხოვრობს. ქალბატონ ანასტასიას კარგი მეხსიერება აქვს და თავის საბრძოლო გზაზე გვესაუბრა:

–რუსეთის ჩრდილოეთში, კიროვის ოლქში დავიბადე. 1942 წელს, 18 წლის გამიწვიეს ჯარში. ლენინგრადის ცნობილი ბლოკადის მონაწილე ვარ. ფინეთის ყურესთან მდებარეობს პატარა ქალაქი პეტერგოფი, რომელსაც „რუსულ ვერსალს“ უწოდებენ. იქ ვიყავი გამნაღველად. შემდეგ სამხედრო კონტრდაზვერვაში გადამიყვანეს, მშიფრავად. ომი ესტონეთში, ტალინში დავასრულე. აქ შევხვდით მე და ჩემი მომავალი მეუღლე, ასევე ომგადახდილი შალვა კვაჭანტირაძე ერთმანეთს. 1946 წელს დავქორწინდით და საქართველოში ჩამოვედით.

თავდაპირველად გამიჭირდა, მაგრამ შალვას მშობლებმა შვილივით მიმიღეს და თანდათან ენობრივი ბარიერი გადავლახე. 4 შვილი გავზარდეთ. ჩემი მეუღლე ანასეულის ინსტიტუტში მუშაობდა მთავარ ბუღალტრად. (25 წლის წინ გარდაიცვალა) უფროსი შვილები ოზურგეთში რუსულ სკოლაში სწავლობდნენ, რადგან მათ სწავლაში დახმარება სჭირდებოდათ. უმცროსმა დაამთავრა ქალაქის №1 სკოლა. უკვე მეოთხე თაობას მოვესწარი... მიყვარს კითხვა. საჭმელს არ

ანასტასია ლინინა, მჟავია

შევჭამ, თუკი გაზეთს არ წავიკითხავ –გვითხრა ანასტასია მჟავიამ.

უმცროსი ვაჟის თქმით, დედამისს ბევრი ჯილდო აქვს, მაგრამ იგი ყოველთვის მედლებს „ლენინგრადის დაცვისთვის“ და „მამაცობისთვის“ ასახელებს.

როგორც ოჯახის წევრებმა გვითხრეს, ჟურნალისტების სტუმრობამდე მათთან გურიის გუბერნატორი ზურაბ ნასარაია, მუნიციპალიტეტის ხელძღვენელები იყვნენ, 9 მაისი მიულოცეს და საჩუქრების გადასცეს.

ანასტასია ლინინა, მჟავია შვილთაშვილებთან ერთად

ახალშექმნილ მოძრაობას დიდი ბრძოლა მოუწევს ძალიან დიდ მაფიოზურ დაჯგუფებასთან

ციატივას. გვერდით დავუდგებით. როცა შეექმნა პრობლემა მდინარე აჭისწყლის ხეობას, მაშინვე თქვა სოფელმა უარი. სხვა სოფლებში კი ხდება მოქალაქეების მოსყიდვა, ზოგჯერ დასაქმებით. იყო შემთხვევა, ადამიანმა გააპროტესტა ყანა წამართვესო. ჰკითხეს,– რამდენ სიმინდს იწვევდიო

–500 კილოსო –უპასუხა.

მიუტანეს 500 კილო სიმინდი.

როცა ირმას აქცია ჩატარდა ლიხაურში, შეხვედრა შედგა გუბერნიაში.

ლიცენზიის გამცემმა ლაფერაძემ საყვედური უთხრა ლიცენზიანტებს, უჩემოდ რატომ გააგრძელეთ მუშაობაო. შესულიყავით სოფელში, იქაური პრობლემები განგეხილათ, ის პრობლემები მოგეგვარებინათ და მერე შესულიყავით სოფელშიო –ამაზე იყო აქცენტი.

ყველგან ამ აქცენტით შედიან. ზოგან გზას აგებენ, ზოგან სტადიონებს აკეთებენ, ზოგან ხრეშავენ. აქ იმხელა ფულზეა საუბარი, რომ ულირთ. რაც შეეხება ლიხაურს და აჭისწყალს, შეჩერდა სამუშაოები, მაგრამ ირიბად აჭის წყლის ხეობა და ყველა შენაკადი მაინც დაზარალდება, იმიტომ, რომ ის ნატანი უნდა შეავსოს ბჟუჟმა და ნატანებმა და ბჟუჟიდან „მოქაჩავს“. ტყეებსა და მთებზე არაა საუბარი – ეს სპეციალისტებმა მითხრეს.

წითლმთაში მერის წარმომადგენელმა გარემოს დაცვის წარმომადგენელს აჩვენა ჩუმად, პატარა ბორცვის იქეთ იღებდნენ ხრეშს, მიჰქონდათ საკუთარ ზოლში და მერე იქიდან გააქთ. სიმართლე გითხრათ, ეს ადგილობრივი პრობლემაა და არ მგონია, ზემოდან მოდიოდეს.

პრობლემა ავუხსენი მუნიციპალიტეტის მერს. მან თქვა, რომ ხელს არ მოაწერს არც ერთ თანხმობას. პირიქით ცდილობს, შეჩერდეს მოპოვება. სოფელ ნაგომრის ტერიტორიაზე, ბახვის წყალზე მიმდინარეობს ახლა მოპოვება, დანარჩენი ყველა შეჩერებულია. ამ კარიერზე გაცებულია ნებართვა. არსებობს გეოლოგიური დასკვნები. გარემოს დაცვა ამბობს, რომ ყველაფერი წესრიგშია . მაგრამ მოხდა ისე, რომ ოზურგეთს წყალი არ მიეწოდებოდა იმიტომ, რომ წყალსადენის ახლოს მიმდინარეობდა ქვიშა-ხრეშის მოპოვება. ეს იყო შარშანწინ. მივედით, შევამოწმეთ. წყალსადენს აქვს მიწისქვეშა გალერეა, სადაც წყალი შედის მდინარიდან და იქ ბუნებრივად იფილტრება, ყველა არის დანგრეული, იმიტომ, რომ მძიმეწონიანი მანქანები დადიან ახლოს. ეს ვუთხარით ლიცენზიანტებს. მათივე ტრაქტორებით მიწა მივაყარეთ. იმ მომენტში ხმა ვერ ამოიღეს.

ესენი აპელირებენ, რომ გეოლოგიური დასკვნა არის, ლიცენზია გაცემულია და არ შემოევლება.“

ირმა გორდელაძე: –„მიუხედავად სურვილისა, ჩვენს სოფელს ვერ დაიცავს ადგილობრივი მუნიციპალიტეტი. შესაბამის სამინისტროს კი ფეხებზე ვკიდივართ.

გიგი მახარაძემ ჩამოაყალიბა, თუ რა შეიძლება გააკეთოს სამოქალაქო მოძრაობამ, რომ შეაჩეროს რეგიონში მოსალოდნელი ეკოლოგიური კატასტროფა: როგორ შეძლებენ შეეწინააღმდეგონ უკვე გაცემული ლიცენზიების ამოქმედებას; როგორ დაადგენენ ლიცენზიის პირობების დარღვევებს და ა.შ.

საქართველოს დემოკრატიული განვითარების კავშირის თავმჯდომარის **ლევან ხინთიბიძის** აზრით, სამოქალაქო მოძრაობამ მდინარეების გადარჩენის საკითხებზე მუშაობისას ითანამშრომლოს გურიის გუბერნიასთან, გარემოს დაცვის სამსახურებთან, საპატრულო პოლიციასთან და ა.შ.

როგორც ითქვა, ახალშექმნილ მოძრაობას დიდი ბრძოლა მოუწევს ძალიან დიდ „მაფიოზურ გაერთიანებასთან“, რომელშიც როგორც ე.წ. „შავი სამყაროს“, ისე სახელმწიფო სამსახურებიც არიან ჩართული.

2019 წლის 19 მაისს საკრებულოს შუალედური არჩევნები გაიმართება

ამომრჩეველთა საყურადღებოდ!

კენჭისყრა იმართება 08:00 საათიდან 20:00 საათამდე

კენჭისყრის შენობაში შესვლისას ნაკადის მომწესრიგებელ კომისიის წევრს წარუდგინეთ პირადობის მოწმობა ან საქართველოს მოქალაქის პასპორტი და გაიარეთ მასთან მარკირების შემოწმების პროცედურა

თუ აღმოჩნდა, რომ გაქვთ მარკირება, არ მოგეცემათ კენჭისყრაში მონაწილეობის უფლება

მარკირების შემოწმების პროცედურის გავლის შემდეგ მიდით სარეგისტრაციო მაგიდასთან და რეგისტრატორს წარუდგინეთ პირადობის მოწმობა ან საქართველოს მოქალაქის პასპორტი

გაიარეთ მარკირების პროცედურა

მარკირებაზე უარის თქმის შემთხვევაში, არ მოგეცემათ კენჭისყრაში მონაწილეობის უფლება

ამომრჩეველთა სიაში თქვენი გვარის გასწვრივ გააკეთეთ ხელმოწერა

მიიღეთ რეგისტრატორისგან ბეჭდითა და ხელმოწერით დამოწმებული საარჩევნო ბიულეტენი

კენჭისყრის კაბინაში საარჩევნო ბიულეტენში შემოხაზეთ თქვენთვის სასურველი ერთი საარჩევნო სუბიექტის რიგითი ნომერი

ხმის მიცემა ფარულია!

კაბინაში ფოტო-ვიდეო გადაღება აკრძალულია!

თუ გაგიფუჭდათ საარჩევნო ბიულეტენი, მიმართეთ საარჩევნო კომისიის თავმჯდომარეს

კენჭისყრის კაბინიდან გამოსვლის შემდეგ, აიღეთ სპეციალური კონვერტი და დაკეცილი საარჩევნო ბიულეტენი მოათავსეთ მასში, სპეციალური კონვერტი მოათავსეთ საარჩევნო ყუთში

კენჭისყრაში მონაწილეობის შემდეგ, გთხოვთ, დატოვოთ საარჩევნო უბანი

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის კენჭისყრაში დამოუკიდებლად მონაწილეობისთვის უზრუნველყოფილია:

- ✓ უსინათლო ამომრჩევლისთვის – ბიულეტენის შესავსები ჩარჩო/ფორმა
- ✓ მცირემხედველი ამომრჩევლისთვის – გამადიდებელი ლინზა
- ✓ ეტლით მოსარგებლე ამომრჩევლისთვის – ადაპტირებულ უბნებზე ხმის მიცემის სპეციალური კაბინა
- ✓ ყრუ და მხარდაქერის მიმღები პირებისთვის – ხმის მიცემის ამსახველი პოსტერი

თუ დამოუკიდებლად არ შეგიძლიათ შეავსოთ საარჩევნო ბიულეტენი, უფლება გაქვთ, კენჭისყრის კაბინაში დასახმარებლად მოიწვიოთ ნებისმიერი სხვა ამომრჩეველი.

ცესკოს ვებგვერდი ადაპტირებულია უსინათლო და მცირემხედველი პირებისთვის

ყრუ და სმენადაქვეითებულ ამომრჩეველს საშუალება აქვს ვებგვერდზე www.cesko.ge რეგისტრაციის შემდეგ ვიდეო ზარის სერვისით ისარგებლოს

ვესაუბრებით ამომრჩევლებს!

ცესკო
საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრი

ღვაწლმოსილი მეცნიერი, პედაგოგი

ზაურ გაბრიჩიძე - იუბილარია



80 წელი შეუსრულდა სასიქადულო მამულიშვილს, გამორჩეულ მეცნიერს, პრინციპულ მკვლევარს და პიროვნებას, სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორს, პროფესორს, საქართველოს ეკოლოგიურ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოს ზაურ გაბრიჩიძეს. ბატონმა ზაურმა მთელი თავისი ცხოვრების შეგნებული ნაწილი მეცნიერული კვლევის, პედაგოგიური მოღვაწეობის და ჩვენი ქვეყნის მომავლზე ზრუნვის სამსახურში გაატარა. ნიჭიერებამ, პასუხისმგებლობის მაღალმა გრძნობამ, შესაშურმა შრომის-მოყვარეობამ და საქმისადმი უანგარო დამოკიდებულებამ მის პიროვნებას საზოგადოებაში განსაკუთრებული გამორჩეული ადგილი დაუმკვიდრა.

ბატონი ზაური დაიბადა 1939 წლის 27 მაისს, ტყიბულის რაიონში, სოფელ მუხურაში. 1957 წელს სკოლის ოქროს medalზე დამთავრების შემდეგ სწავლა განაგრძო საქართველოს სუბტროპიკული მეურნეობის ინსტიტუტში, რომელიც წარჩინეთ დამთავრა 1962 წელს ქ. სოხუმში, სუბტროპიკული კულტურების სწავლული აგრონომის სპეციალობით. იმავე წელს წარჩინებული კურსდამთავრებული ჩაირიცხა ჩაისა და სუბტროპიკული კულტურების ყოფილი საკავშირო სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ასპირანტურაში, სპეციალობით ,,სუბტროპიკული კულტურები". ასპირანტურაში სწავლის პერიოდში ბატონმა ზაურმ სპეციალური თეორიული და პრაქტიკულ კურსი გაიარა მოსკოვის ტიმირიაზევის სახელობის სასოფლო-სამეურნეო აკადემიაში და 1966 წელს წარმატებით დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია თემაზე „დაფნის კულტურის ვეგეტატიური გამრავლების ბიოლოგიური საფუძვლები" და მიენიჭა სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხი.

1967 წლიდან ბატონი ზაურ გაბრიჩიძე ჩაისა და სუბტროპიკული კულტურების საკავშირო სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის უფროსი მეცნიერ თანამშრომელია, ხოლო 1971 წლიდან იგი ახლად შექმნილი ჩაის ვეგეტატიური გამრავლების და წარმოებაში დანერგვის ლაბორატორიის ხელმძღვანელია. ამ პერიოდს ემთხვევა ჩაის პერსპექტიული ვაიშ „კოლხიდასადმი" განსაკუთრებული ყურადღება, მისი ვეგეტატიური გამრავლების პროგრესული ტექნოლოგიების შემუშავებას და დანერგვას. ამ მიზნით ინსტიტუტში შეიქმნა სპეციალური სამეცნიერო ლაბორატორია და შესაბამისი ინფრასტრუქტურა. მნიშვნელოვანია ამ ლაბორატორიის თანმიმდევრული კვლევების შედეგების წვლილი სამრეწველო მასშტაბით მაღალმოსავლიანი და მაღალხარისხოვანი ჩაის ვაიშ „კოლხიდას" ვეგეტატიური წესით ნერგების წარმოებაში, რომელსაც ანალოგი არ გაჩნდა. 1974-1985 წლებში საქართველოს ჩაის მწარმოებელ რეგიონებში ვაიშ ,,კოლხიდას" სამრეწველო პლანტაციები გაშენდა 5 ათას ჰექტარზე, ინსტიტუტში მოეწყო ჩაი „კოლხიდას" ნედლეულის გადამუშავებელი ექსპერიმენტული საწარმო მაღალხარისხოვანი პროდუქციის მისალებამჩაიების დარგში მიღწეული წარმატებებისთვის აღნიშნული სამეცნიერო-ტექნო-ლოგიური და საწარმოო ხასათის მასშტაბური ღონისძიების შედეგები 1983 წელს წარდგენილი იქნა ყოფილი საბჭოთა კავშირის სახელმწიფო პრემიაზე.

1990 წელს ბატონმა ზაურ გაბრიჩიძემ წარმატებით დაიცვა სადოქტორო დისერტაცია თემაზე „ჩაის ვეგეტატიური გამრავლების მეცნიერული საფუძვლები და სამრეწველო ტექნოლოგია" და მიენიჭა სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხი. 1988-1995 წლებში ბატონი ზაური ინსტიტუტის დანერგვის განყოფილების, ხოლო 1995-2011 წლებში აგროტექნიკის ლაბორატორიის ხელმძღვანელია. 2011-2014 წლებში იგი როგორც ინსტიტუტის მეცნიერი თანამშრომელი საქართველოს აგრარული უნივერსიტის საკონსულტაციო სამსახურის კონსულტანტია..

2015 წელს ბატონი ზაურ გაბრიჩიძე დანიშნა სოფლის მეურნეობის სამინისტროს სისტემაში ახლად შექმნილი სსიპ სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის მრავალწლიანი კულტურების კვლევისა და სარგავი მასალების წარმოების დეპარტამენტის უფროსი სპეციალისტის მოვალეობის შემსრულებლად, ხოლო 2016 წლიდან კონკურსის წესით დაიკავა სსიპ სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის ჩაისა და სუბტროპიკული კულტურების კვლევის სამსახურის უფროსი სპეციალისტის პოზიცია. ახლადშექმნილ სამსახურში გამოცდილი სპეციალისტის განსაკუთრებული ძალისხმევით და მონდომებით საფუძველი ჩაეყარა სუბტროპიკული კულტურების გენოფონდის მოძიების, გამრავლების, საკოლექციო ნაკვეთების შექმნის და მათ შემდგომ შესწავლის სამუშაოებს. დიდია მისი თანამშრომლობა ჩაის რეპბლიტაციის სახელმწიფო პროგრამის „ქართულ ჩაი"-ს ფარგლებში მის მიერ მომზადებული შეფასებების და რეკომენდაციების წვლილი მნიშვნელოვანია ამ პროგრამის წარმატებულად განხორციელებაში. უკვე რეაბილიტირებულია 1000 ჰექტარზე მეტი პლანტაცია და სარეაბილიტაციო სამუშაოები მიმდინარეობს 700 ჰექტარზე. დიდია ბ-ნი ზაურის წვლილი ფერმერ-ბენეფიციარებისათვის სპეციალური რეკომენდაციების, ინსტრუქციების მომზადებამიწოდების საკითხებში. სამინისტროს დაკვეთით მის მიერ ბოლო სამ წელიწადში მომზადებულია 6 რეკომენდაცია და 30 სამეცნიერო-საინფორმაციო მასალა სუბტროპიკულ კულტურათა მოვლა-მოყვანის აქტუალურ საკითხებზე. ყველა მისი ნაშრომი აქცენტირებულია სუბტროპიკულ ზონაში არსებული რესურსების მაქსიმალურ გამოყენებასა და მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებაზე. ექსპერტ-კონსულტანტის რანგში იგი წარმატებით თანამშრომლობს ორგანიზაცია **ENPARD**-თან.

სამეცნიერო საქმიანობის პარალელურად ბატონი ზაური წლების განმავლობაში ეწეოდა პედაგოგიურ საქმიანობას, კერძოდ, 1990-2010 წლებში ის ხელმძღვანელობს ოზურგეთის ბუნებათსარგებლობის სასწავლო ინსტიტუტის აგრობიზნესის და ეკოლოგიის ფაკულტეტებს. კითხულობდა სალექციო კურსს სპეციალობაში „სუბტროპიკული კულტურების აგროტექნოლოგია"

სხვადასხვა დროს ბ-ნი ზაური სამეცნიერო მივლინებებით იმყოფებოდა შრი-ლანკაში, ინდოეთში, ვიეტნამსა და მაროკოში. ამ ქვეყნებში მიღებული გამოცდილების საფუძველზე იგი ხელს უწყობდა ჩვენს ქვეყანაში სუბტროპიკული მემცენარეობის აღმავლობას.

მნიშვნელოვანია ბატონი ზაურის წვლილი ახალგაზრდა სამეცნიერო კადრების აღზრდის საქმეში. მისი უშუალო ხელმძღვანელობით მომზადებული და დაცულია 6 საკანდიდატო და 2 სადოქტორო დისერტაცია, იგი წლების მანძილზე იყო საქართველოს სუბტროპიკული მეურნეობის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო ხარისხების მიმნიჭებელი სადისერტაციო საბჭოს წევრი; ჩაის, სუბტროპიკული კულტურების და ჩაის მრეწველობის ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს წევრი;ჟურნალ „სუბტროპიკული კულტურების" სარედაქციო კოლეგიის წევრი. იგი ავტორია 170-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომის, მათ შორის 3 მონოგრაფიის და 20 რეკომენდაციის. მისი უშუალო რედაქტორობითა და რეცენზირებით გამოცემულია 10 სახელმძღვანელო და მონოგრაფია სუბტროპიკული კულტურების მოვლა-მოყვანის აქტუალურ საკითხებზე. მონაწილეობა აქვს მიღებული მრავალ სამეცნიერო კონფერენციის და საერთაშორისო კონგრესის მუშაობაში, არის საერთაშორისო და ადგილობრივი სამეცნიერო გრანტების თანამონაწილე და შემსრულებელი. მისი დასკვნა-რეცენზირების და ოპონირების საფუძველზე დაცულია მრავალი ათეული საკანდიდატო და სადოქტორო დისერტაცია. მეცნიერებაში შეტანილი წვლილისათვის ბატონი ზაური დაჯილდოვებულია სოფლის მეურნეობის სამინისტროს სიგელებითა და მედლებით, ხოლო 2011 წელს „ღირსების ორდენით".

ბ-ნი ზაური დღესაც ჩვეული ენერგიით აგრძელებს სამეცნიერო-კვლევით საქმიანობას, მჭიდრო კონტაქტს ამყარებს ფერმერებთან, გლეხებთან, ბიზნესმენებთან. მისი მაღალკვალიფიციური რჩევა-დარიგებები ძალზე საჭირო და დროულია თითოეული კულტურის მოვლა-მოყვანის აქტუალურ საკითხებზე.ამაზე მიუთითებს მის მიერ რეგულარულად გამოქვეყნებული წერილები გაზეთების და ჟურნალების ფურცლებზე. ის, როგორც ბიოლოგი, ეკოლოგი ხშირად ატარებს საჯარო ლექციებს სკოლებში მოსწავლე-ახალგაზრდობასთან, მისი ოცნებაა ანასეული თავისი ინფრასტრუქტურით საკდელ-სადემონსტრაციო ნაკვეთებით და დასაჩებული კადრებით კვლავ წარმოჩინდეს ქვეყნის შიგნით და საერთაშორისო მასშტაბით.

მას სწამს და სჯერა,რომ ხელისუფლების და მეცნიერების ერთობლივი ძალისხმევით მეჩაიეობა და სუბტროპიკული სოფლის მეურნეობა კვლავ ჯეროვან ადგილს დაიკავებს ქვეყნის ეკონომიკის და აგროსამრეწველო სექტორის განვითარებაში.

ბატონი ზაური საუკეთესო მრჩეველი, თანამდგომი და მეგობარია, საქმეში და ცხოვრებაში უალაბო. მან თავისი ცხოვრებით დამტკიცა, რომ ადამიანს იმაზე დიდი მიზანი არა აქვს, ვიდრე თავდადებით კეთილსინდისიერებით ემსახუროს საკუთარ ქვეყანას და საზოგადოებას.-

ოთხმოცი წლის მიჯნაზე ბატონი ზაური ჩვეული შემართებით ჩაბმულია ცხოვრების ფერხულში,მხნედ, შემართებით და ოპტიმიზმით შეჰყურებს მომავალს იმ იმედით, რომ თითოეული ადამიანის შესაძლებლობები იქნება რეალიზებული, გაწეული შრომა სათანადოდ შეფასებული, თითოეული ოჯახი და მათ შორის მისი მრავალრიცხოვანი ოჯახი,შვილები,შვილიშვილები და შვილთაშვილები იქნებიან ბედნიერნი.

ბატონი ზაურ გაბრიჩიძე დამსახურებული პიროვნებაა. იგი ჯეროვანი ავტორიტეტით სარგებლობს საზოგადოებაში და იმ ადამიანებში, ვისთან ერთად ათეული წლების მანძილზე უხდებოდა შრომითი საქმიანობა. ყოველთვის თბილი და გულისხმიერი კეთილი დამრიგებელი. მისმა ცხოვრებამ და ნაყოფიერმა მოღვაწეობამ ჩვენს თვალწინ გაიარა და ამ ხნის მანძილზე არ ყოფილა შემთხვევა, რომ მის პიროვნებას ჩრდილი მიკარებოდეს.

გულითადად ვულოცავთ საუბილეო თარიღს ბატონ ზაურს, ვუსურვებთ მას დიდხანს სიცოცხლეს და შემოქმედებით წარმატებებს ჩვენი ქვეყნის აღმშენებლობის საქმეში.

ადამ ბერიძის სახელობის ნიადაგისა და სურსათის დიაგნოსტიკური ცენტრი „ანასეული"

სსიპ სოფლის მეურნეობის სამეცნიერო კვლევითი ცენტრი

საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის ჩაის, სუბტროპიკული კულტურების და ჩაის მრეწველობის ინსტიტუტი

გაზეთ „ალიონი"ს "რედაქცია

17 მაისი მუზეუმების საერთაშორისო დღეა

1977 წელს, მუზეუმების საერთაშორისო საბჭოს XI გენერალურ კონფერენციაზე მიღეს გადაწყვეტილება ყოველწლიურად 18 მაისს აღინიშნოს მუზეუმების საერთაშორისო დღე. ამ დღისათვის მუზეუმები გეგმავენ კრეატიულ ღონისძიებებს და აქტივობებს.

მუზეუმების საერთაშორისო დღის მიზანია,ხელი შეუწყოს იმ ფაქტის გაცნობიერებას,რომ მუზეუმები წარმოადგენენ მნიშვნელოვან საშუალებას კულტურული გაცვლისათვის, კულტურათა გაცვლისათვის,კულტურათა გამდიდრებისა და ურთიერთობების, თანამშრომლობისა და ხალხთა შორის მშვიდობის განვითარებისათვის.

ოზურგეთის სამუზეუმო გაერთიანება (ფილიალები), თავისი არსებობის 83 წლის მანძილზე წარმოადგენდა და წარმოადგენს გურიის სამეცნიერო დაწესებულებას დღეს სამუზეუმო კოლექციების შესახებ არ ვისაუბრებ გარკვეული მიზეზების გამო(მუზეუმი 2016 წლიდან არ ღებულობს დამთვალიერებელს) მუზეუმელები ყოველდღე ველოდებით შეპირებულ საიმედო ცნობას მუზეუმში სარემონტო სამუშაოების დაწყების შესახებ. მიუხედავად ასეთი მდგომარეობისა მუზეუმელები შესაძლებლობისადა მიხედვით ვასრულებთ ჩვენზე დაკისრებულ მოვალეობას.

წლეულს მუზეუმების საერთაშორისო დღის აღნიშვნის დევიზია :,მუზეუმები ,როგორც კულტურული ჰაბები-ტრადიციის მომავალი"

დღეს დიდი მნიშვნელობა ენიჭება გურიის ტრადიციებისა და ეთნოგრაფიული ღირებულებების შენარჩუნებას. როცა თანამედროვე ყოფიდან ყოფიდან სწრაფად ქრება ძველი სტრუქტურა ნგებო-ბები,ავეჯი,ჭურჭელი,სამეურნეო იარაღები და სხვაყოველი ეთნოგრაფიული ნივთი ფასდაუდებელი ხდება და უდიდესი მეცნიერულ-ისტორიული ღირებულება ენიჭება.ახლანდელი თაობა ნაკლებად ან სრულად არ იცნობს ეთნოგრაფიულ გურიასეს კი საფრთხეს უქმნის გურიის ტრადიციებისა და ეთოგრაფიული ღირებულებების შესახებ ინფორმაციის მომავალი თაობებისათვის გადა-ცემას. ამასთან დღითიდღე -საქართველო უცხოელი ტურისტებისა თუ სამეცნიერო წრეების ფართო ინტერესის საგანი ხდება.უცხოელები ხშირად სტუმრობენ გურიის მხარეს.ჩვენი კუთხის ეთნოგრაფიის ახლოს გაცნობა ხდება დვაბზუს ეთნოგრაფიულ მუზეუმში (დაარსდა 2009 წელს),სადაც შეეინარჩუნეთ და დავუნვეთ გურიის მხარისათვის დამახასიათებელი ეთნოგრაფიულ,საყოფა-ცხოვრები,სამეურნეო ნივთები,ა ავეჯნეთ გურულთა ყოფა-ცხოვრების ამსახველი მონეტები,წესჩვეულებები, ტრადიციები, საცხოვრებელი გარემო, დამხმარე შენობა ნაგებობები, აღვადგინეთ და შევინარჩუნეთ გურული კარმიდამოს კომპლექსი-სამზადი სახლი,საცხოვრებელი -ოდა სახლი, დამხმარე სათავსოები ნალიასი-მინდე, ბეღელი, მეღვინეობისათვის განკუთვნილი მარანი, სამეურნეო ნივთები. და სხვაყოველივე ზემოთ აღიშნულიდა გათვალისწინებით გადავწყვიტეთ წლეულს 18 მაისს მუზეუმების საერთაშორისო დღე დვაბზუს ეთნოგრაფიულ მუზეუმში ჩავატაროთ საჯარო სკოლის მოსწავლეებისათვის და მათთან ერთად: გავაცნოთ გურული სამზარეულო და ძველ ტრადიციული კერძები,და მეორეც, სკოლის მოსწავლეებმა მონაწილეობა მიიღონ და უშუალოდ მოამზადონ გურული კერძებიმოიძინონ და წარმოადგინონ ძველი გურული ტრადიციული კერძები -,ბებისეული რეცეპტებით". სპეციალური ჟიური გამოა-ვლენს გამარჯვებულს.

ამ ღონისძიების ჩატარებაში მხარს გვიჭერს და ფინანსურად გვეხმარება ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის სამსახური, (უფროსი მარინა ჯაფარიძე).

რამდენად საინტერესო უნდა იყოს ჩვენი ღონისძება, რა ტრადიციები გვქონდა 100 და მეტი წლის წინათ, შევეხები ზოგიერთ ასპექტს. აი რას გვამბობენ უცხოელები: **ბარონ დე ბაი** ფრანგი არქეოლოგი და მოგზაური: –,გურული გლეხი კარგად იკვებება,იგი ხშირად ჭამს ფრინველს,ქათამს, ან ინდაურს და ყოველთვის ცხელ მჭადს, ყველითა და კვერცხით მოხარშულ ლობიოსლობიო დიდ როლს თამაშობს კვებაში,იგი ჩვენი კარტოფილის მაგიერია,სოფლის ოჯახმა,რომელსაც მოულოდნელად წავაწყდით,იმწამსვე სუფრასთან მგვიწვია და ეს მიპატიჟება იმდენ კეთილი გულით იყო გაკეთებული,რომ ჩვენ სწრაფად დავთანხმდით".

1862 წელს გურიაში მყოფი პრუსიის სამეფოს პრინცი **ალბრეხტ ჰოჰენცოლერნი** აღწერს სადილს ერისთავის და დიმიტრი გურიელის კარზე.

,ერისთავმა სტუმრებს შესანიშნავი ეროვნული სადილით გაუმასპინძლდაცხარე და ჰილჰიმყრილი უმრავი სხვადასხვა კერძები მართა.უხვად და იშვათად შესუნელებული საჭმელები ძალიან მოსწონებათ არა მარტო უცხოელებსგაოცებული დარჩენილა სტუმრების თანხლები კავკასიაში მოსამსახურე რუსები,რომლებიც კავკასიურ საჭმელებს შეჩვეულები იყვნენ.სუფრას 16 კაცი უსხდა და 16 კაცი ემსახურებოდა".

დიმიტრი გურიელთან სადილს ასე აღწერს:–,გურიელთან სადილი იყო ევროპულ სტილზეგერცხლის სუფრის ჭურჭლითპრინცი აქებს გურიელის მნერებს (ქალების წესებს)გამომშვიდობებისას დილით სტუმრებს ალუბლის სასმელი და მურაბა მართვესგურიის მილიცამ სტუმრებსათვის საჭვნებელი სროლა და ჯერითი მაწყო"(ქალი ჩხატარაშვილი ,გურია უცხოელი თვალით"). ეს ამონარიდები მოვიტანე იმიტომ,რომ გამეცნო მკითხველისათვის,როგორი ტრადიციები გვქონდა გურულებს საუკუნის წინათ,როგორც თავადებს ასევე გლეხებს , კერძები, ეტიკეტები და ა.შ. საერთოდ უნდა ვთქვათ, რომ გურულებს ძველად ნატურალური მეურნეობა ჰქონდათ და ღვინოსაც ნატურალურს მირთმევდნენ.ა ამიტომაც იყვნენ ჯანმრთელები და დღეგრძელები.

მანანა ლომაძე,

ოზურგეთის სამუზეუმო გაერთიანების ფონდების მცველი.

მემორიალური ტურნირი ადგილობრივ მოჭადრაკეთა ხსოვნას მიეძღვნა

ალიონი. ოზურგეთის საჭადრაკო კლუბში დამთავრდა საჭადრაკო ტურნირი, რომელიც გარდაცვლილ მოჭადრაკეთა ხსოვნას მიეძღვნა. იგი ტრადიციულად აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულის მომდევნო კვირაში იმართება და მასში, როგორც თანრიგოსანი, ისე მოყვარული მოჭადრაკეები მონაწილეობენ. ტურნირი გახსნა გურიის ჭადრაკის ფედერაციის ახლად არჩეულმა პრეზიდენტმა **ზურაბ ანდღულაძემ,** რომელმაც დამსწრე საზოგადოებასთან ერთად გაიხსენა და მოკლედ დაახასიათა ის ადამიანები, რომლებმაც მნიშვნელოვანი კვალი დატოვეს ოზურგეთისა და ზოგადად გურიის საჭადრაკო ცხოვრებაში.**სიმონ გუგუნავა, გრიგოლ კალანდარიშვილი, რეზო ჭყონია, ოლია შათირიშვილი, თამაზ სალუქვაძე, ვაჟა ჭანუყვაძე, ბორის გეგეჭკორი, აკაკი შავიშვილი, ანზორ ბურჭულაძე, ომარ ბიჭიკაშვილი, გიგლა ლომჯარია, გივი მჟავანაძე, გივი შავიშვილი, ამირან გოგუა, მურმან მდინარაძე, უჩა ურუშაძე, მიშა ცენტერაძე, ალიოშა ტულუში, თორნიკე ხვედელიძე** და სხვები. დამსწრე საზოგადოებამ ცალკე მიაგო პატივი ტურნირის მიმდინარეობის დღეებში გარდაცვლილ **ავთანდილ მეგრელაძეს,** რომელიც მოყვარულ მოჭადრაკეთა შორის განსაკუთრებული სიძლიერით გამოირჩეოდა.



ტურნირში 12 მონაწილეს შორის ჩართული იყო სასკოლო ასაკის რამდენიმე მოჭადრაკე, რომლებიც 8-17 მაისს მონაწილეობას ღებულობენ მოსწავლეთა შორის საქართველოს პირველობის უმაღლეს ლიგაში. შეჯიბრება თავისთავად საინტერესო გამოდგა. ჭადრაკის მოყვარულთა თვალი უმეტესად მიპყრობილი იყო იმ დაფებისაკენ, სადაც ახალგაზრდები გამოცდილ და ტიტულოვან

მოჭადრაკეებს ხვდებოდნენ.

როგორც მოსალოდნელი იყო, პირველობა არავის დაუთმო ოსტატობის კანდიდატმა **გივი სიამაშვილმა,** რომელმაც პრაქტიკულად ყველა პარტია მოიგო (11შესაძლებლობიდან 10,5 ქულა). სასიხარულოა, რომ მეორე ადგილზე 8,5 ქულით 14 წლის **ლუკა ღლონტი** გავიდა, ხოლო ძველი თაობის რაიონის ექსჩემპიონებმა **ვოვა ტაკიძემ** და **რომან კუტუბიძემ** მომდევნო საპრიზო ადგილები დაიკავეს.

ტურნირში წარმატებული მოჭადრაკეები სპეციალური დიპლომებით და ფასიანი საჩუქრებით დაჯილდოვდნენ.

დასასრულს ჭადრაკის მოყვარულებმა ტრადიციული წესით აღნიშნეს გარდაცვლილ მოჭადრაკეთა ხსოვნა.

ქ. ლანჩხუთში ჭადრაკის სახლი გაიხსნა

ალიონი. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში საქართველოს ჭადრაკის ფედერაციის პრეზიდენტმა **გია გიორგაძემ** და ხუთგზის ოლიმპიურმა ჩემპიონმა **ნანა იოსელიანმა** ჭადრაკის სახლი გახსნეს.

ნანა იოსელიანმა ერთდროული თამაშის სეანსი ჩაატარა ადგილობრივი საჭადრაკო სკოლის აღსაზრდელებთან.

ჭადრაკის სახლის გახსნის ცერემონიალში გურიის გუბერნატორის მოადგილე **გია ებრალიძე** ესწრებოდა.

გურიის ჭადრაკის ფედერაციის თავმჯდომარედ **ზურაბ ანდღულაძე** აირჩიეს.

კახა მჟავიამ ბრინჯაოს მედალი მოიპოვა

ბათუმში დასრულდა აჭარის ღია პირველობა ჩოგბურთში. ტურნირში ადგილობრივი ჩოგბურთელების გარდა, საქართველოს სხვადასხვა რეგიონებიდან ჩამოსული სპორტსმენებიც იღებდნენ მონაწილეობას. ოზურგეთის ჩოგბურთის სკოლის აღსაზრდელმა **კახა მჟავიამ** ბრინჯაოს მედალი მოიპოვა.მესამე ადგილისთვის გამართულ მატჩში კახამ ქუთაისის საჩოგბურთო სკოლის აღსაზრდელი სბა ომანაძე სამსეტიან დრამატულ ბრძოლაში 3-6, 6-3, 10-7 ტაიბრეიკით დამარცხა. ოზურგეთის ჩოგბურთის სკოლის აღსაზრდელები ტურნირისთვის

მწვრთნელებმა, **მამუკა კილაძემ, დავით თავართქილაძემ** და **გივი სიამაშვილმა** მოამზადეს...

სკანვორდი





№ 18-ში გამოქვეყნებული სკანვორდის პასუხები:

სურათზე – მანუჩარ კვირკველია; ელექტროტრანსპორტი – ტრამვაი; წინასწარი შესატანი – ბე; საქართველოს ერთ-ერთი კუთხე – აჭარა; ხორბლის მოსავლის აღება – მკა; ვოჭი მეგრულად – თუ; სასწავლო საგანი – გეომეტრია; დიახ – კი; დაბალი მაგიდა – ტაბლა; რიგელი დიდოსტატი – ტალი; მე-5 ასობგერა – ე; გადასატანი ჭურჭელი – ტარა; მონღოლეთის დედაქალაქი – ულანბატორი; დათვის თათი – ტორი; ელექტროხელსაწყო –რელე; ბოსტნეულიც, მდინარეც – კამა; თბილისის ზღვის მკვებავი – იორი; დათა თუთაშხიას პერსონაჟი – ქირია; ქალის სახელი – თამთა; სოფელი ოზურგეთის მუნიციპალიტეტში – მერია; საპორტო ქალაქი ბულგარეთში – ვარნა; თურქული საფეხბურთო კლუბი – გალათასარაი; კარგი გურულად – კი; კალატოზის ხელსაწყო – თარაზო; პროლეტარიატის ბელადი – ლენინი; მეტროს სადგური თბილისში – დელისი; რკინიგზის რელსი – ლიანდაგი; ერთგვარი ხაფანგი – რაგვი; ეტელ ლილიან ვოინიჩის ნაწარმოები – კრაზანა; სასვენი ნიშანი – დეფისი; ბილიარდის ჯოხი – კია; ავტომობილის მარკა – ფერარი; საღებავს რომ ურევენ – ოლიფა; სუბტროპიკული მცენარე – ჩაი; მოსწავლის ინვენტარი – ჩანთა; ჰოლანდიელი მხატვარი – ვანგოგი; მსახიობი ... მანჯგალაძე – ეროსი; ქართლის სათავო ქალაქი – გორი; რიცხვი – ორი; სახნავი იარაღი – ჩანთა; გარეული ცხოველი – იაგუარი;

ჩვენი სოსიე

„მესხი რომ არა, იმ დროს საქართველოში პირველი ფეხბურთელი სოსო დუმბაძე იქნებოდა“

10 აპრილს რედაქციის კარი ვეტერანმა ფეხბურთელმა **ანზორ ვახრამოვმა** შემოაღო. შეეხედეთ თუ არა, მაშინვე მივხვდით, გაგებული ჰქონდა ოზურგეთის „მერცხალის“ ყველა დროის ერთ-ერთი საუკეთესო ფეხბურთელის **სოსო დუმბაძის** გარდაცვალების ამბავი. ბიჭებო, იცით, ალბათ, ჩვენი სოსიე, რომ დაიღუპა. განსაცხადებლად მოვედი, დამაწერინეთ და გამომიქვეყნეთ, ახლა არაფრის თავი მაქვს და ნურც ნურაფერს მკითხავთო, – განდგურებული ჩანდა მეგობრის დაკარგვით ისედაც ვჯანმრთელობაშელახული კაცი. მწუხრის სევდამ დაისადგურა იმ დღეს ოზურგეთში, ვერავის ნახავდით მომღიმარს, სოსოს დაკარგვას განიცდიდა ქალაქი და ქალაქელები, მათ შორის ისინიც, ვისაც შეხება არ ჰქონიათ სოსოსთან, მხოლოდ განაგონი ჰქონდათ უფროსი თაობიდან ამ სახელდებული ფეხბურთელისა და დიდებული პიროვნების შესახებ. არის ლოგიკა ამაში, სოსო ხომ ის კაცია, ვინაც მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ოზურგეთული ფეხბურთის აღმავლობაში, ვისი თამაშის სანახავად სხვა ქალაქებიდანაც ჩამოდიოდნენ ფეხბურთის გულშემტკივრები. ამიტომ, შეეცადეთ, შეძლებისდაგვარად გაზეთის ფურცლებზეც გადაგვეტანა მისი დაკარგვით გამოწვეული ტკივილი. რამდენიმე დღის შემდეგ სოსოს მეუღლეს ქალბატონ დოდოს დავუკავშირდით ისრაელში, მივუსამძიმრეთ და ვთხოვეთ, იქნებ რაღაცნაირად წამოგვშველებოდა ამ წერილის ბიოგრაფიული ნაწილის მომზადებაში. დიდი მადლობა მას, რომ მწუხარების ჟამს, გამონახა დრო და შეასრულა ჩვენი თხოვნა:

„ჩემი მეუღლე, სოსო დუმბაძე დაიბადა 1933 წლის 15 თებერვალს ხობის რაიონში, რადგან დედა ნინა შონია იქაური იყო და მამა მოსე დუმბაძე იქ მუშაობდა ჩაის ფაბრიკაში ტიტეისტერად, – გვწერს ქალბატონი დოდო, – ისე მამა ჩოხატაურის რაიონის სოფელ ზომლეთიდან იყო. სამი წლის ყოფილა სოსო, როცა ოჯახი დასახლდა ოზურგეთში, 1905 წლის (ახლანდელი დავით აღმაშენებლის) ქუჩაზე. სამი წლის შემდეგ გაჩნდა სოსოს ძმა ანტონ დუმბაძე, რომელიც ასევე ფეხბურთელი იყო. წლების მანძილზე თამაშობდა ჯერ ჩოხატაურში, მერე კი ოზურგეთის „მერცხალში“.

6 წლის იყო სოსო, როცა ოჯახი დაიშალა და ეულად დარჩენილმა დედამ იტვირთა ორივე შვილის გაზრდა. 14 წლის ასაკში, შეჭირვებული მდგომარეობის გამო, სოსოს მოუწია მუშაობის დაწყება, მუშაობდა ჩაის ფაბრიკაში მტვირთავად,

ფეხბურთის სიყვარული ბავშვობიდან დაჰყოლია. ხშირად ივონებდა, 7 წლის ასაკში როგორ აკეთებდა „ჭინჭის ბურთს“ და თამაშობდა ეზოში. სკოლაშივე შენიშნეს მაშინდელმა ოზურგეთელმა ფეხბურთის მწვრთნელებმა და აიყვანეს გუნდში სწვრთნელად. ამის გამო საშუალო განათლების მიღება მაშინდელ ღამის სკოლაში მოუხდა. როგორც თვითონ მაამბობდა, 20 წლის ასაკში საკმაოდ კარგი ფეხბურთელი იყო. ასე დაიწყო მისი კარიერა ფეხბურთელად (კარგ ფეხბურთელად) ჩამოყალიბებაში.

ოჯახი 33 წლის ასაკში შეექნა. პირველი შვილი, ვაჟი დაელუპა 4 წლის ასაკში, აპენდიცითი. ორი წლის შემდეგ შეეძინა გოგონა და შემდეგ – ორი ვაჟი.

მე ვერაფერს მოგწერთ მისი ფეხბურთელობის შესახებ, შემიძლია მხოლოდ გითხრათ, რომ მასზე ლეგენდები დადიოდა. მისი კოლეგებიდან გამიგონია, მესხი რომ არა, საქართველოში იმ დროს №1 ფეხბურთელი სოსო იქნებოდაო. მისივე ნათქვამიდან ვიცი, ბათუმელმა მწვრთნელებმა ორჯერ „მოიპარეს“ და ორივეჯერ უკან დაბრუნა იმ დროის „მერცხალის“ მწვრთნელმა, ბატონმა კოტე გოგატაძემ. ისიც ვიცი, თბილისის „დინამოში“ ორჯერ მიიწვიეს, მაგრამ, ოჯახური მდგომარეობის გამო, ვერ წავიდა და 16 წელი „მერცხალში“ თამაშობდა.

1997 წელს, მეუღლის ნახევარძმის მიწვევის შემდეგ, ოჯახთან ერთად დატოვა საქართველო და ისრაელში გადავიდა საცხოვრებლად. 20 წლის შემდეგ კი, მძიმე ავადმყოფობის შედეგად, 9 აპრილს გარდაიცვალა.

ესაა სულ, რაც შეძელი. მადლობა თქვენ, რომ შემეხმიანეთ, მადლობა „ალიონს“.

ოზურგეთელ გულშემატკივრებს ახსოვთ მათი საყვარელი გუნდის მარცხენა გარემარბი, შეუდარებელი დრიბლინგისა და საოცარი ტექნიკის მქონე, მოწინააღმდეგე გუნდის დაცვის ამაწიოკებელი ფეხბურთელი. ვერ წარმოედინათ, რომ მას რომელიმე მცველი ჩაკეტავდა. ასეც იყო, სოსიას არა მხოლოდ მასზე მიმგრეული პერსონალური მეორე ნომრისთვის, არამედ დაზღვევაზე გადმოსული რამდენიმე მცველისთვისაც ერთობლივად ხშირად დაუსხია რეტი. თამაშობდა ლაღად, გულშემატკივრისთვის სიამოვნების მინიჭების სურვილით და რაც მთავარია, შედეგიანად.

„ვისაც მისი თამაში არ უნახავს, იმათ საყურადღებოდ ვამბობ: მაშინ არ იყო ასე განვითარებული ტელევიზია, მაგრამ გადახედეთ იმდროინდელ პრესას, როგორც ადგილობრივს, ისე რესპუბლიკურს და დარწმუნდებით, რომ სოსოს სახით ძალიან მაღალი კლასის ფორვარდთან გვქონდა საქმე. რამდენი გამარჯვება გვიზეიმია ერთად. წაგვიგია კიდეც, მაგრამ უმსრეკანში აგვიღია. სოსო ჩემი დიდი მეგობარი იყო, ის ვერ ავიტანე, რომ ისრაელში წავიდა და ახლა ხომ მთლად გამოვედი წყობიდან“... – თქვა ჩვენთან საუბრისას **ანზორ ვახრამოვმა.**



„მერცხალის“ ვეტერანი ფეხბურთელის **იოსებ (ქუცა) ქადეიშვილის** თქმით, სოსოს ნამდვილად შეეძლო დიდ „დინამოში“ თამაში:

„მისმა გარდაცვალებამ ძალიან დამწყვიტა გული, ვუსამძიმრებ ოჯახს, ნათესავებს, მეგობრებს, კოლეგებს. უწესიერესი, კარგი სამეგობრო კაცი იყო. ნამდვილად შეეძლო დიდ „დინამოში“ წარმატებით ეთამაშა, მაგრამ ჩვენ რომ ვთამაშობდით, იმ პერიოდში ყველას უჭირდა რაღაც. მისი ძმა ანტონიც კარგი ფეხბურთელი იყო. რამდენი წელი გვითამაშია სოსოს და მე ერთად. ყველაზე მეტი პრიზი და თასი ჩვენ გვქონდა აღებული. 1959-1960 წლებში ორჯერ ზედიზედ საქართველოს თასი ავიღეთ. შეუჩერებელი იყო თბილისელებთან და ლანჩხუთელებთან გამართულ ფინალურ მატჩებში სოსო. მერე საბჭოთა კავშირის თასის გათამაშების ნახევრფინალშიც გავედით, ხუთჯერ გავხდით საკავშირო „ოქროს თავთავის“ გამარჯვებულები“.

მახსენდება ტელევიზიაში მუშაობის წლები. დუმბაძეების ოჯახი ტელევიზიის მოპირდაპირედ, აღმაშენებლის 133-ში ცხოვრობდა. ლალი ბერძენიშვილი რომ გვეტყოდა, შესვენებაზე მივდივარო, ვიცოდით, რომ დუმბაძეებში იქნებოდა, სხვაგან არსად, მერე ჩვენაც ჩაგვითრია და ტელევიზიის შემოქმედებითი სამსახურის თითქმის ყველა თანამშრომელი შესვენებაზე ამ ჰარმონიულ ოჯახში ვიყრიდით თავს. ქალბატონი დოდო მაშინ მუშაობდა, ერთს შემოირბენდა, გემრიელ ყავას მოგვიდულებდა, მოგვეფერებოდა, მოგვიბოდიშებდა და წასვლისას სოსოს და გიას – მათ უმცროს ვაჟს, რომელიც ჩვენთან მუშაობდა სადადგმო ნაწილში, ეტყოდა: აბა, თქვენ იცით, სტუმრები არ მიმიწყინოთ და არც თქვენ მოიწყინოთო.

მოედანზეც გავჯიბრებივართ ერთმანეთს ამხანაგურად, გავიყოფოდით და ვბურთაობდით „ლაშეზე“. ასაკში იყო, სისწრაფე დაკარგული ჰქონდა, მაგრამ ერთი-ორჯერ ისე „მაჭამა“, აზრზე ვერ მოვედი, ფეხებს შორის როგორ გამიძვრა ბურთი. რა თქმა უნდა, ბედნიერი ვიყავი, როცა მის „გუნდში“ ვთამაშობდი.

არ მაქვს ინფორმაცია, სოსოს უფროსი ვაჟი თემურ დუმბაძე ისრაელში რა პროფესიას გაჰყვა, მაგრამ აქ, ოზურგეთის „მერცხალში“ რომ მშვენივრად თამაშობდა, ეს კარგად ვიცი და ამას ყველა ოზურგეთელი ფეხბურთის ქომაგი დამიდასტურებს.

დუმბაძეები ამ ზაფხულს ოზურგეთში ჩამოვლენ, სამწუხაროდ, მათ შორის აღარ იქნება სოსო დუმბაძე, „ჩვენი სოსიე“, როგორც ოზურგეთელები ეძახდნენ. უფალმა ნათელი დაუმკვიდროს.

თემურ მარშანიშვილი

სულთათანა

გალაქტიონ ღლონტის მოსაგონარი



საქართველოს მწერალთა და ჟურნალისტთა კავშირის წევრი, საქართველოს კულტურის დამსახურებული მუშაკი, რამდენიმე საინტერესო წიგნის ავტორი **გალაქტიონ ანთიმოზის ძე ღლონტი** დაიბადა 1926 წლის 8 აგვისტოს, ოზურგეთის რაიონის სოფელ ახალსაყდარში (ამჟამად თხინვალი), მოსამსახურის ოჯახში. დედა, ანა ცინცაბაძე ერთ-ერთი პირველი მასწავლებელი იყო თხინვალის ახალგახსნილ დაწყებით სკოლაში, მამა – ანთიმოზი კი გასული საუკუნის 30-იანი წლებიდან 1963 წლამდე, გარდაცვალებამდე სოფლის საექიმო ამბულატორიის გამგე გახლდათ.

ბატონმა გალაქტიონმა თითქმის ექვსი ათეული წელი იმუშავა საქართველოს მეცნიერებათა სისტემაში, გამომცემლობა „მეცნიერებაში“ უფროს რედაქტორად. იყო „ვეფხისტყაოსნის“ აკადემიური ტექსტის დამდგენ კომისიაში, მეცნიერ-თანამშრომლად, ჟურნალ „მაცნეს“ ენისა და ლიტერატურის სერიის პასუხისმგებელ მდივნად. ნაყოფიერი სამეცნიერო, ლიტერატურული და ორგანიზაციული საქმიანობისთვის დაჯილდოებული იყო ღირსების ორდენით. სწორედ ასეთი შრომისმოყვარე, მართალი, პატიოსანი, დადებითი ადამიანებით მოვედით დღემდე და რაოდენ სამწუხაროა, ასეთ ადამიანთა რიცხვს ორმოცი დღის წინათ გამოაკლდა და ზეციურ ბინადართ შეუერთდა ჩვენი უფროსი მეგობარი გალაქტიონი. რამდენი კარგი, სასიამოვნო მოგონებები დაგვიტოვა. ყველას დააკლდა უმისობა: ოჯახს, შვილებს, შვილიშვილებს, სანათესაოს, განსაკუთრებით მშობლიურ სოფელ თხინვალს. მართალია, იგი ძირითადად თბილისში ცხოვრობდა და მოღვაწეობდა, მაგრამ სოფელს ხშირად სტუმრობდა, პატრონობდა, უვლიდა მის მამა-პაპეულ ტრადიციულ სახლკარს. ამ ოჯახმა სამშობლოს აღუზარდა უმაღლესი განათლების მქონე ხუთი ღირსეული შვილი. აქედან დღეს ცოცხალია მხოლოდ ერთი – გალაქტიონის და, პროფესიით ეკონომისტი კლარა ღლონტი-ჩხეიძე, რომელიც კასპის რაიონის სოფელ აღაიანში ცხოვრობს.

თხინვალს ეამაყებოდა ბატონი გალაქტიონი. ღირსეული შეხვედრა მოუწყო მას, თხინვალის საჯარო სკოლამ, სადაც იგი 1934-1938 წლებში სწავლობდა, ასევე მერიის საჯარო სკოლამ, რომელიც მან 1944 წელს დაამთავრა.

ბატონ გალაქტიონს საუკუნო საგზლად გაჰყვება ის სიკეთე და კაიკაცობა, რაც მან ამქვეყნად დათესა მისი ნაღვაწით, დიდი ნაშრომებით, შესანიშნავი წიგნებით. იგი მუდამ იცოცხლებს სანათესაოს, სამეზობლოს, სამეგობროს და ყველა განათლებული, მწიგნობარი ადამიანის გულში.

ღმერთმა ნათელში ამყოფოს მისი სული.

არ მინდა მასზე წარსულ დროში საუბარი, ამიტომ მისდამი სიცოცხლეში მიძღვნილი ლექსით კიდევ ერთხელ შევეხმიანები და მივესიყვარულები:

ღირსეულ ქართველ პოეტს გალაქტიონ ღლონტს

რაც კარგია ცხოვრებაში,
ის გიბოძა ბუნებამ,
თქვენებრ ასე შემკობილი
მე სხვა არ მეგულება.

თქვენი ადამიანობით,
ნიჭით, ცოდნით, უნარით,
კაცობა და თავმდაბლობა
არის გაუხუნარი.

ხშირად სტუმრობ მშობელ
კუთხეს,
ხალისით და იმედით,
მეზობლები გეგებება
გამორჩეულ სიკეთით.

ტრადიციული ოჯახის
სასახელო შვილი ხარ,
განათლებით, კულტურით
სოფლის კოლორიტი ხარ.

საქართველოს მოტრფიალე
შესანიშნავ ლექსებს წერ,
ფილოლოგი, მკვლევარი და
საზოგადო მოღვაწე.

სოფლის მოამაგე ხარ და
ღირსეული ქართველი,
თქვენთან ერთად უკვდავია
წიგნი „ბინდის ნათელი“.

რვა ათეულ წელს ითვლი და
იწვი, აღარ ილევი,
კვლავ იხარე უსათნოეს
მეუღლით და შვილებით.

ცხოვრებაში მუდამ გძულდა
ორგული და ბოროტი,
მწამს იქნები ასე წმინდა
სულ, სიცოცხლის ბოლომდი.

ნოდარ დონაძე

ბატონი გალაქტიონის უმცროსი მეგობარი.

ქეთევან ჭეიშვილის გახსენება

40 ტკივილიანი დღე გავიდა მას შემდეგ, რაც შენ აღარ ხარ ჩვენს შორის, ქეთი. როგორ გინდოდა სიცოცხლე, მეგრად იდექი. გინდოდა, გამკლავებოდი უკურნებელ სენს, მაგრამ ყოველი ცდა ამაო გამოდგა. ღიმილი გაგვიქრა შენს მეგობრებს, სასწავლებლის კარებს შევცქერით, მაგრამ შენ არ ჩანხარ. სურათზე გადაგვაქვს მზერა, ნაღველი გვიპყრობს, გვენატრები გვენატრები! რა დაუნდობელია ეს წუთისოფელი.

ჯუმათის პედაგოგიურ კოლექტივში მუდამ დარჩები, როგორც სანიმუშო პედაგოგი, თბილი, გულ-ისხმიერი და კეთილი მეგობარი.

ჯუმათის საჯარო სკოლა, საქართველოს პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალი პროფკავშირის ოზურგეთის რაიონული ორგანიზაცია.

საქართველოს პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალი პროფკავშირის ოზურგეთის რაიონული ორგანიზაცია თანაუგრძნობს ვაკიჯვრის საჯარო სკოლის პედაგოგს, პროფკავშირული ორგანიზაციის თავმჯდომარეს ბელა ახალაძეს დედამთილის **ლილი ინწკირველი-მდინარაძის** გარდაცვალების გამო.

ოზურგეთის თეატრის გრანდიოზული საერთაშორისო საფესტივალო ტური ევროპაში

ოზურგეთის ალექსანდრე წუწუნავას სახელობის პროფესიული სახელმწიფო დრამატული თეატრი, ბოლო პრემიერით ანა პეტროვას „კოცნა“, ერთდროულად სამ საერთაშორისო თეატრალურ ფესტივალში მიიღებს მონაწილეობას. სპექტაკლი, რომელიც ბულგარულ-ქართული კოპროდუქციის შედეგია, ოზურგეთის თეატრში ბულგარელმა რეჟისორმა **ნევენა მიტევამ** განახორციელა..

11-16 მაისს, ოზურგეთის თეატრი სწორედ სპექტაკლით „კოცნა“ ახალი ბულგარული დრამის ფესტივალის „შჰუმან 2019“, მაყურებლის წინაშე წარდგება. ფესტივალის ორგანიზატორია ბულგარეთის ქალაქ შუმნის დრამატულ-თოჯინური სახელმწიფო თეატრი „ვასილ დრუმევი“. ფესტივალს საკმაოდ ხანგრძლივი ისტორია აქვს,მას საფუძველი 1993 წელს ჩაეყარა და უკვე 26-ე ფესტივალს მასპინძლობს. ფესტივალის მიზანი თანამედროვე ბულგარული დრამატურგიის სცენური ინტერპრეტაციების ერთ სივრცეში ჩვენებაა. ფესტივალის ფარგლებში ოზურგეთის თეატრის სპექტაკლის „კოცნა“ მსოფლიო პრემიერა გაიმართება, რომელშიც ქართველ მსახიობებთან ერთად, ბულგარელი მსახიობებიც მიიღებენ მონაწილეობას.

შემდეგ ჩვენი თეატრი ქალაქ ვრა-ცაში (ბულგარეთი) მცირე დრამატული ფორმების საერთაშორისო ფესტივალში მიიღებს მონაწილეობას. ვრაცას მცირე დრამატული ფორმების საერთაშორისო ფესტივალი 16-21 მაისის ფარგლებში გასტანს. მესამე ქალაქი, რომელიც უკრაინაში ოზურგეთის თეატრს უმასპინძლებს, ხერსონია, რომელიც 17-26 მაისს XXI საერთაშორისო ფესტივალს „ტავრიის მელპომენას“ მართავს.

თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი, **ვასო ჩიგოგიძე:** „ჩვენთვის ძალიან საინტერესო და საპასუხისმგებლოა ბულგარეთში და უკრაინაში რამდენიმე საერთაშორისო თეატრალურ ფესტივალში მონაწილეობის მიღება. უკვე გვაქვს გამოცდილება ბულგარელ მაყურებელთან შეხვედრის, გაბროვოს ფესტივალის სახით, მიხარია, რომ ეს ტრადიცია წელსაც გრძელდება.

ბულგარეთში, შუმენში გვექნება მსოფლიო პრემიერა, ქართულ-ბულგარული კოპროდუქციით, რადგან ბულგარელი დრამატურგის ანა პეტროვას პიესაში „კოცნა“, რომელიც ჩვენ განვახორციელეთ, ითამაშებს თავად პიესის ავტორი.

ბულგარეთიდან გადავდივართ უკრაინაში, ხერსონში „ტავრიის მელპომენეს“ 21-ე ფესტივალზე და ჩვენთვის ყველაზე სასიხარულოა, რომ აქ ჩვენი სპექტაკლის ჩვენების დღეს, 22 მაისს გურიიდან შემოგვიერთდება დელეგაცია - გურიის სამხარეო ადმინისტრაციის, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელები. მათთან ერთად ჩვენ გავაგრძელებთ საგასტროლო ტურნეს გენიჩესკში. ამ ქალაქს ოზურგეთთან აკავშირებს 1938 წელს დაწყებული მეგობრობა, რომელსაც სოფლების შრომისა და როვნოს ურთიერთობამ დაუდო სათავე. ამ ურთიერთთანამშრომლობამ ომი და ბევრი სიდუხჭირე გამოიარა და ნახევარსაუკუნოვანი იუბილეც იზეიმა.

წელს 81 წელი გავიდა ამ მეგობრობიდან, ბოლო პერიოდში ეს ურთიერთობა შესუსტდა, ერთმანეთს დავეკარგეთ, ჩვენი თეატრი დელეგაციის სახით იქნება პირველი მერცხალი ამ ურთიერთობის განახლებისთვის და ვეცდებით კვლავ აღდგეს ეს „გულთა კავშირი“, როგორც, მას ამ მეგობრობას ერთ-ერთი სულისჩამგმელი მიხაკო ორაგველიძე უწოდებდა.

ჩვენი გასტროლი ორ კვირაზე მეტ ხანს გრძელდება. იმედი მაქვს, ოზურგეთის თეატრი ღირსეულად წარსდგება სხვადასხვა მსოფლმხედველობის, ეროვნების და გემოვნების მაყურებლის წინაშე. წარმატებას ვუსურვებ ოზურგეთის თეატრს, რომელიც უბინობის გაუსაძლის პირობებში ქმნის შემოქმედებით პროდუქციას და აჩვენებს ქართველ და უცხოელ მაყურებელს.“

ოზურგეთის თეატრის საფესტივალო-საგასტროლო ტური ამ სათეატრო სეზონზე მხოლოდ ბულგარეთში გამართული საერთაშორისო ფესტივალებით არ შემოიფარგლება. თეატრი თავისი სპექტაკლების ჩვენებას 2018-2019 წლების სათეატრო სეზონზე აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებშიც გეგმავს, რომლის შესახებ ინფორმაციას ოზურგეთის თეატრის პრეს სამსახური მოგვიანებით გაავრცელებს.

ლია კილაძე

თეატრის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსი

მე-3 ბაღის „შესანიშნავი შვიდეულის“ შვიდი გაელვება

ალიონი. 7 მაისს სასიამოვნო სიურპრიზი შემოგვთავაზა ქალაქ ოზურგეთის №3 საბავშვო ბაღმა. ბაღის მომცრო ეზოში, ღია ცის ქვეშ შვიდ ჯგუფად წარმოდგენილი 74 აღსაზრდელის მონაწილეობით, დამსწრე საზოგადოებამ მშვენიერი საღღდგომო ზეიმი იხილა.

ბაღის „შესანიშნავი შვიდეული“, ანუ ჯგუფები დღეს ასე გამოიყურება: **„ჭიამაიები“, მერცხლები“, „ცისარტყელა“, „გვირილები“, „ჩიორები“, „ვარსკვლავები“** და **„ცეროდენა“**. როგორც ჩანს, ჯგუფებისთვის ეს სახელები შემთხვევით არ დაურქმევიათ, რადგან შვიდ განსხვავებულ კომპოზიციაში ჯგუფების სახელდებების შესატყვისი ხელწერა შეინიშნებოდა:

„ჭიამაიები“ – რაც ბუნებაში თი-თქმის შეუძლებელია, ცხოვრებაში ზოგჯერ მოსახერხებელია. ერთად ამდენი და ასეთი გათვითცნობი-ერებული ჭიამაია იშვიათად თუ გვინახავს (აღმზრდელები: **მაკა მეგრელიძე** – I ცვლა და **ნატა ტრაპაიძე** – II ცვლა; აღმზრდელის თანაშემწე – **შორენა თოიძე**).

„მერცხლები“ – ამ ჯგუფის ბავ-შვებმა თავიანთი ხელგარჯილობებითა და გამჭრიახობით გაზაფხული არათუ მოიყვანეს, არამედ აღდგომის ბრწინვალებით გააცისკროვნეს (აღმზრდელები – **ნაზი გობრონიძე** – I ცვლა, **მაია სურგულაძე** – II ცვლა, ამავე ჯგუფში ბავშვთა აღზრდას ემსახურებიან **თამუნა ეზიეშვილი, თეო თოდრაძე.**

„ციხარტყელა“ – მოელვარე ბა-ვშვები ჰყავს ამ ჯგუფს. „უცისარტყელოდ“ პეწს დაკარგავდა როგორც გაზაფხული, ისე აღდგომა უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესი (აღმზრდელები: **ნათია კილაძე** – I ცვლა, **ნონა ღლონტი** – II ცვლა, თანაშემწე – **მანანა რამიშვილი**).

„გვირილები“ – მწვანე ველზე სწორედ გვირილებივით მოჩითულის შთაბეჭდილება მოახდინეს ამ ჯგუფის ბავშვების თვალსაჩინო ნახელავმა (აღმზრდელები: **მაია კეჭაყმაძე** – I ცვლა, **ხათუნა გაგუა** – II ცვლა; აღმზრდელის თანაშემწეები – **მედეა ფაჩულიძე, თამარ ცხოიძე, ანა წულაძე**).

„ჩიორები“ – ამ ჯგუფს სადა ჰყავს მელიასთვის გასამეტებელი ბარტყი?! „ მოხდენილად გამოიყურებოდა და გემოვნებითაც გამორჩეული იყო „ჩიორების“ კულინარიული ნაწარმი – პასკა და სხვა ნუგბარი (აღმზრდელები: **სოფო ქარჩავა** – I ცვლა, **თეო ინწკირველი** – II ცვლა; აღმზრდელის თანაშემწე – ნათია ნი**კოლაიშვილი;** ასევე აღმზრდელები – **თამუნა ჩხაიძე** და **მაიკო ლომინაძე**).

„ცეროდენა“ – ჯგუფი, რომელმაც ვიზუალურადაც და საგემოვნო თვისებებითაც მასზე გაცილებით დიდი და საუკეთესო პროდუქცია წარმოადგინა ღონისძიებაზე (აღმზრ-დელები: **თეა კონტრიძე** – I ცვლა, **მაია გიორგაძე** – II ცვლა), აღმ-ზრდელის თანაშემწეები – **მარი მახარაძე, ნათია რუსიძე**).

„ვარსკვლავები“ – რაც შეეხება ამ ჯგუფის ბავშვებს, გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ მათ ნამდვილად გააცისკროვნეს ეს ღონისძეიება, თავისი ელფერი შესძინეს ზეიმს. (აღმზრდელები: **ლალი სამსონია** – I ცვლა, **ნათია ზოიძე** – II ცვლა; აღმზრდელის თანაშემწე – **ნათია ნიკოლაიშვილი;** ასევე აღმზრდელები – **თამუნა ჩხაიძე** და **მაიკო ლომინაძე).**

საბავშვო ბაღის მენეჯერია **კესო ცეცხლაძე,** მენეჯერის მოადგილე – **ხათუნა ჭანიშვილი,** მუსიკის მასწავლებელი– **ცირა დოლიძე,** ფსიქოლოგი **ირმა სანიკიძე,** ლოგოპედი – **მედიკო კეკელიძე,** სპეცმასწავლებელი – **თამარ კუტუბიძე.**

„ალიონთან“ საუბარში კესო ცეცხლაძემ ხაზგასმით აღნიშნა აქტივობაში აღსაზრდელთა მშობლების ჩართულობა. მისივე თქმით, ბაღის აღსაზრდელთა ამ შესანიშნავ ღონისძიებას გარკვეული სპონსორობა გაუწია ნამცხვრის სახლმა „ტირასიმუ“.

მე-4 ბაღის აღსაზრდელთა „გასტროლი“ ოზურგეთის ცენტრალურ ბიბლიოთეკაში

ოზურგეთის №4 საბავშვო ბაღის სასკოლო მზაობის ჯგუფის აღსაზრდელები **ვაჟა აფაქიძე, ალექსანდრე აბაშიძე, ბარბარე ბუზალაძე, ლიკა ბოლქვაძე, მარიამ გურჯიძე, ლუკა გოგოტიშვილი, ელენე დოლიძე, ნიკა ვასაძე, ანასტასია თოხაძე, ანამარია ლომაძე, ბარბარე მუჯირი, კესო ნაცვალაძე, ანამარია ოვფიანი, ელენე პაპუნაშვილი, საბა სიორიძე, ანასტასია სამსონია, ნიკო ტადაბაძე, ალექსანდრე შინდრიკოვი, ელენე ჩხაიძე, თემო ქაიახან, თორნიკე სალაია, ბარბარე დოლიძე, ელენე იმნაძე, ნინი გუბელიძე** განსაკუთრებული შემოქმედებითი ნიჭით დაჯილდოებული ბავშვები არიან. არა მგონია, ვინმეს განსხვავებული მოსაზრება ჰქონდეს. თუ ვინიცობაა, არის ასეთიც, მას უსათუოდ არ ექნება ნანახი 16 აპრილს მშობლიურ ბაღში, ხოლო 2 მაისს ოზურგეთის ცენტრალურ ბიბლიოთეკაში გამართული ღონი-სძიებები ამ ბავშვების მონაწილეობით.

16 აპრილის ღონისძიებაზე მკითხველი უკვე ინფორმირებულია, რაც შეეხება მეოთხებაღელთა ცენტრალურ ბიბლიოთეკაში გამოსვლას, შევეცდებით, ამ წერილით გადმოგცეთ ჩვენი აზრი მათი ინდიკობის შესახებ.

ორ კვირაში ერთ თემაზე ორი ღონისძიების ასე მაღალ დონეზე ჩატარება უფროსი თაობის წარმომადგენლებს გაუჭირდებათ, არათუ პატარებს. მაგრამ მე-4 ბაღის სასკოლო მზაობის ჯგუფის ბავშვებმა, თავიანთი აღმზრდელების ხელმძღვანელობით, ეს შეძლეს და თანაც როგორ! ღონისძიებებები ერთმანეთისგან მკვეთრად განსხვავდებოდა და ორივეს მნახველი ძნელად თუ მიანიჭებდა რომელიმეს უპირატესობას. ბავშვები არ შეუშინდნენ ცენტრალურ ბიბლიოთეკაში „გასტროლს“ და „დედაენაზე“ აჭიკჭიკდნენ გურულების სათავო ქალაქის მთავარ წიგნის საუფლოში. ლექსი თქვეს ხატოვნად, იმღერეს შესანიშნავად, იცეკვეს შთამბეჭდავად და ბიბლიოთეკა დაათვალიერეს დიდი ინტერესით.

„ალიონთან“ საუბარში ცენტრალური ბიბლიოთეკის დირექტორმა **ლიანა ბაქანიძემ** თქვა, რომ მეოთხებაღელთა ეს სიურპრიზი არის საბიბლიოთეკო კვირეულის პირველი ღონისძიება პროექტის „ნაბიჯი წიგნისკენ“ ფარგლებში.

ბაღის მენეჯერია **მარიკა ღლონტი,** მეთოდისტი – **ნაილი გრძელიძე,** აღმზრდელები – **ლია ქავ-თარაძე, მარინა ინწკირველი,** მუსიკის მასწავლებელი – **ნანა ქილიფთარი,** ლოგოპედი – **მედეა გირკელიძე.**

რედაქციისაგან: ***ამ წერილს განმეორებით ვბეჭდავთ, რადგან მოგვივიდა ტექნიკური უზუსტობა, კერძოდ, მასში სხვა საგაზეთო მასალის სურათი ჩავდეთ.***

7 დღის ამინდის პროგნოზი

მზე, ღრუბელი +9+21	მზე, ღრუბელი +12+26	მზე, ღრუბელი +15+28	მზე, ღრუბელი +17+31	მზე, ღრუბელი +14+28	მზე, ღრუბელი +13+23	მზე, ღრუბელი +12+22
13 მაისი	14 მაისი	15 მაისი	16 მაისი	17 მაისი	18 მაისი	19 მაისი
ორშაბათი	სამშაბათი	ოთხშაბათი	ხუთშაბათი	პარასკევი	შაბათი	კვირა